ДАДГА ჩაის კრეფის ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲣᲕᲔᲢᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ,

ᲮᲝᲚᲝ ᲒᲔᲕᲠ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲗᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐᲨᲘ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲐ.

ᲖᲝᲒᲐᲜ ჩაის ფოთოლი ᲒᲐᲣᲮᲔᲨᲓᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ.

◇ ◇

ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ.

◇ ◇

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲒᲝᲗ! ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ: ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲐᲛᲐᲠᲝᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.



ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ—ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ!

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲒᲗᲐᲜ

ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ დიდი გამოცოცხლება იყო მახარაძის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ჩაის პლანტაციებში. მეჩაიეებმა შეიტყეს, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის მეჩაიეებს მიმართეს მოწოდებით, გაძლიერონ კრეფის ტემპი და აგვისტოში უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ახალი ძალით გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა. კრეფის ტემპი ყოველდღიურად მატულობს. მაგალითად, თუ 6 აგვისტოს მოკრიფა 160 ტონაზე ცოტა მეტი, 7 აგვისტოს მოკრეფილია 200 ტონაზე მეტი, ხოლო 8 აგვისტოს მოკრიფეს 270 ტონამდე ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 37.829 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფეს. ეს წლიური გეგმის 84,5 პროცენტს შეადგენს. ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡᲘ ᲮᲘᲓᲛᲐᲓᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲨᲘᲡᲚᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐ. ნაგომრელმა ლეილა მაღულარიძემ 7 აგვისტოს მოკრიფა 40 კილოგრამი, გუშინ კი 50 კილოგრამი „მწვანე ოქრო". მეჩაიეებმა პირობა დადეს ნაკისრი ვალდებულება 1 სექტემბრამდე შეასრულონ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ძალით გაჩაღდა ჩაის ფოთლის კრეფა. 7 აგვისტოს მოკრიფეს 210 ტონა ფოთოლი, ხოლო 8 აგვისტოს 250 ტონა. სულ მოკრეფილია 27.200 ტონა, რაც შარშანდელთან შედარებით 3.695 ტონით მეტია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლექტივი პირობას იძლევა 26 აგვისტომდე შეასრულოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

ᲤᲘᲐᲚᲢᲘᲗᲘ. საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ მოკრეფილია 5.520 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმა შესრულებულია 94,1 პროცენტით. მოკრეფილი ჩაის ფოთლის 78 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲪᲮᲣᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲒᲣᲨᲐᲗᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲘᲬᲐᲤᲘᲗᲚᲘᲡ, ᲪᲣᲪᲮᲕᲐᲗᲘᲡ და სხვა კოლმეურნეობებს.

გუმბრის კოლმეურნეობაში ᲝᲚᲘᲐ ᲣᲨᲕᲔᲠᲘᲫᲔᲛ მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სულ მოკრეფილი აქვს 5.018 კილოგრამი. ზარათის კოლმეურნეობის მეჩაიემ ᲒᲣᲒᲣᲚᲘ ᲢᲣᲙᲕᲐᲫᲔᲛ მოკრიფა 40 კილოგრამი. სულ მოკრეფილი აქვს 4.666 კილოგრამი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 4.000 კილოგრამისა. საწირის კოლმეურნეობაში რიმა ᲒᲕᲘᲜᲔᲯᲐᲫᲔᲛ მოკრიფა 45 კილოგრამი „მწვანე ოქრო", რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში ᲐᲜᲔᲢᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔᲛ — 40 კილოგრამი.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐ.

ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.

ᲒᲔᲒᲛᲐ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად ინგირის საცდელმა ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკამ 5 აგვისტოსათვის წარმატებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. სულ მოკრეფილია და ფაბრიკამ გადაამუშავა 1913 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. წლიური გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით.

ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲝᲗᲐ ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲠᲘᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 186 (12394) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲐᲕᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲗᲘᲗᲓᲦᲔ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲗᲘᲗᲓᲦᲔ ᲐᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ.

◇ ◇

ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ.

◇ ◇

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲒᲝᲗ! ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ: ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲐᲛᲐᲠᲝᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲒᲝᲗ! ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲓᲔᲑᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ:

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲐᲛᲐᲠᲝᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐᲡ

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲛ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უკვე მოკრიფა 63.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმით უნდა მოკრიფოთ 75.500 კილოგრამი, ხოლო ვალდებულებით 90.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲭᲣᲚᲗᲐ...

ბრიგადის ცალკეული წევრებიდან ნათელა გალდავამ, მერი ჯოჯუამ, ეკინა კაკულიამ და სხვებმა უკვე გაანაღდეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ახლა ისინი ყოველდღიურად გეგმის ზევით 50-90 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ.

ბრიგადას მოსავლელად მიჩენილი აქვს 12 ჰექტარი პლანტაცია. ფოთოლი უხვად არის, ყოველდღე 800-900 კილოგრამ „მწვანე ოქროს" ვკრეფთ. ჩვენს ბრიგადას თავი ყოველ წელს უსახელებია, წელსაც არ შეგრცხვებით, კარგად ვიცით, რომ სამშობლო ჩვენგან მეტ ჩაის ნედლეულს მოითხოვს.

ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე რამდენიმე კვირა დარჩა. ბრიგადამ იკისრა ჩაის ნედლეულის კრეფის წლიური გეგმა შეასრულოს 20 აგვისტოსათვის, ხოლო ვალდებულება — 10 სექტემბრისათვის.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐ,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

ᲐᲡᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐᲡ

ᲕᲘᲙᲘᲡᲠᲔᲗ, ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ!

ყველა მეჩაიემ კარგად იცის, რომ აგვისტო ნაკისრი ვალდებულების შესრულების გადამწყვეტი თვეა. აუცილებელია ახლა ყოველდღიურად მატულობდეს კრეფის ტემპი. ამას მოგვიწოდებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავიანთ მიმართვაში მეჩაიეებისადმი.

სიტყვას ვიძლევი ნაკისრი ვალდებულება 1 სექტემბრამდე შევასრულო. უკვე მოკრეფილი მაქვს ვალდებულების 80 პროცენტზე მეტი. 7 აგვისტოს 40 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე, ხოლო 8 აგვისტოს — 55 კილოგრამი.

ამხანაგო მეჩაიეებო! კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის მიმართვას — მივცეთ ჩვენს სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ვკლავავც სასახელოდ ვიშრომოთ.

ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲢᲔᲮ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ვაკეთებ იმისათვის, რომ ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში ნაკისრი ვალდებულება ვადამდე გადაჭარბებით შევასრულო. წლიური გეგმით უნდა მომეკრიფა 2.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, უკვე მოვკრიფე 7.200 კილოგრამი. მიუხედავად ამისა, არ ვკარგავ არც ერთ წუთ სამუშაო დროს, ყოველდღიურად ვზრდი კრეფის ტემპს. 6 აგვისტოს მოვკრიფე 80 კილოგრამი „მწვანე ოქრო", ხოლო 7 აგვისტოს — 90 კილოგრამი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად ვალდებულებას ვკისრულობ 1 სექტემბრამდე კიდევ მოვკრიფო 2.800 კილოგრამი ჩაის ნედლეული და ამით ჩემი წვლილი შევიტანო კომუნიზმის აშენების საქმეში.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲐᲒᲔᲚᲘᲐ,
ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ᲠᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ კავშირგამგეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ კავშირგამგეობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტ[illegible] ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘᲡ მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა კავშირგამგეობის საქალაქო და რაიონული კანტორების 1962 წლის მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. კარგი მაჩვენებლებისათვის კავშირგამგეობის ახალქალაქის რაიონულ კანტორას პირველი ადგილი, მეკუთვნა, მასვე დარჩა გარდამავალი წითელი დროშა და მიენიჭა პირველი ფულადი პრემია.

Ზ. ᲙᲣᲢᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲕᲘᲒᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 7 აგვისტო. (საკადესი). დღეს აქ გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის შედეგებს.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ტიხონოვმა. მან ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ მტკიცე მშვიდობისათვის, ატომური ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას.

კონგრესის მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კონგრესის დელეგატმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. ეუკოვმა. იგი შეჩერდა საბჭოთა მთავრობის პოზიციებზე საყოველთაო და სრული განიარაღებისა და თერმოატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხებში.

შემდეგ გამოვიდნენ კონგრესის სხვა მონაწილეები. მათ მოუწოდეს ყველა საბჭოთა ადამიანს, ყველა კეთილი ნების ადამიანს მოახმარონ თავიანთი ძალები კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

„ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲔᲯᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ"

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა წიგნი „ვ. ი. ლენინი ᲒᲔᲯᲓᲕᲘᲗᲘ სიტყვის შესახებ". წიგნში შევიდა — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", „ისკრის" რედაქციას 1903 წლის 12 დეკემბერს", „ცენტრალურ კომიტეტს 1904 წლის 2 იანვარს", „ი. მ. სვერდლოვს 1903 წლის 9 თებერვალს", „ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ" და ვ. ი. ლენინის სხვა სტატიები, წერილები, სიტყვები და მოხსენებები ბოლშევიკური ᲒᲔᲯᲓᲕᲘᲗᲘ სიტყვის შესახებ.

წიგნი მასობრივი ტირაჟით გამოვიდა.

(საქადესი).

ᲡᲐᲥᲗᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘ, 8 აგვისტო. (საკადესი). დღეს აქ ჩამოვიდა იაპონიის საქმიანი წრეების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მანქანათსამენებელი ფირმის „კომაცუ სეისაკუჟილეს" პრეზიდენტი იოსინარი კავაი. ხაბაროვსკი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი ქალაქია, რომელსაც გაეცნობიან იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მ. ვ. ნესტეროვის მოწვევით.

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ (კალინინის ოლქი), 8 აგვისტო. (საკადესი). კორობინსკის სასოფლო ბიბლიოთეკაში ფოსტალიონმა ბანდეროლი მოიტანა. ბიბლიოთეკის გამგემ ნიკოლოზ გლაზუნოვმა სიხარულით მიიღო პაკეტი. მან გაიფიქრა: ალბათ რომელიმე მწერალმა თავისი მორიგი ახალი წიგნი გამოგზავნა. მართლაც ასეა. გამოგზავნილია ვ. კოჩეტოვის რომანი „საოლქო კომიტეტის მდივანი". წიგნს ავტორის ხელით აწერია: „კორობინსკის ბიბლიოთეკის მკითხველებს. გისურვებთ დიდ წარმატებას შრომაში, ბედნიერებას და ჯანმრთელობას".

ᲞᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 აგვისტო. (საკადესი). ფაშისტთა საერთაშორისო ბანაკი გლოსტერშირმა, რომელიც მოაწყო იხგლისელი ფაშისტების ხელმძღვანელმა კოლიხ ჯოდანმა, გუძინ გაანადგურეს.

ადგილობრივმა მცხოვრებმა ფერმერებმა, რომლებიც აღაძფოთა იმან, რომ ინგლისის ხელისუფლებმა უარი თქვეს გახეხრიცელებიხათ ღონისძიებანი იმის წინააღმდეგ, რომ ფაშისტების თავყოლობა მოწყობილიყო ამერიკელი ფაშისტების „ფიურერის" როკუელისა და სხვა ფაშისტების მონაწილეობით, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ იხგლისში საზღვარგარეთიდან, თავიანთ ხელში აიღეს საქმე და გუშინ საღამოს თვითონ წავიდნენ ბანაკისაკენ".

ამჯერად ჰიტლერელი ნაბოლარები მოკლებული იყვნენ პოლიციის დაცვას და ზოგიერთი მათგანი შეშინებული გაიქცა, როცა ბანაკს სოფლის მცხოვრებთა დიდი ჯგუფები მიუახლოვდნენ.

ფაშისტებმა სცადეს შეეჩერებინათ ფერმერები, მაგრამ მათი წინააღმდეგობა მალე დაძლეულ იქნა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაამსხვრიეს კარვები და მოგლიჯეს სვასტიკის გამოსახულებიანი ალამი, რომელიც რამდენიმე დღეს ფრიალებდა ბანაკის თავზე.

დღეს ზოგიერთი გაზეთი აკრიტიკებს შინაგან საქმეთა მინისტრს ბრუკს იმისათვის, რომ იგი ეფექტიან ღონისძიებებს არ ახორციელებს ამერიკელ ფაშისტთა „ფიურერის" როკუელის მოსანახავად.

„ბრუკს ჯერაც არ შეუგნია, — წერს „დეილი ჰერალდი", — რომ ფაშიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ომის შემდეგ, რომელშიც მილიონობით ადამიანი დაიღუპა, ამის მსგავსი ფაშისტური თავყრილობა უკვე თავისთავად შეუწყნარებელი პროვოკაციაა".

გაზეთი „დეილი უორკერი" აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ყოველთვის უხალისოდ ახორციელებს ღონისძიებებს ფაშისტების წინააღმდეგ, მაგრამ სწრაფად მოქმედებს ანტიფაშისტების მიმართ.

„ბრუკის, ლორდ ჰუმისა და მაკმილანისათვის, — აცხადებს გაზეთი, — ნამდვილი მტერი ფაშიზმი კი არ არის, არამედ სოციალიზმი და მუშათა მოძრაობის, აგრეთვე კოლონიათა განთავისუფლებისათვის მოძრაობის განვითარება".

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 აგვისტო. (საკადესი). გერმანელ ფაშისტთა ორუპაციისაგან საფრანგეთის განთავისუფლების 18 წლისთავთან დაკავშირებით პარიზის სენ-ლაზარის ვაგზლის რკინიგზელებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებმა ფიცი დადეს არასოდეს აღარ დაუშვან გერმანული მილიტარიზმის აღორძინება.

წინააღმდეგობის ეროვნულმა საბჭომ თავის დროზე შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ხსნიდა დემოკრატიისა და პროგრესის გზას. მაგრამ, ხაზს უსვამენ განცხადების ავტორები, ეს კეთილშობილური მიზნები ამჟამად გათელა დე გოლის მთავრობამ, რომელმაც მოაწყო ადენაუერის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში და მხარს უჭერს ბონის რეჟიმს, რომელიც გერმანული მილიტარიზმის პირდაპირი გამოხატულებაა და რომლის დროსაც ყველაზე დიდი პოსტები ყოფილი ნაცისტების ხელშია.

მთელ გერმანელ ხალხთან ნამდვილი შერიგება, ნათქვამია განცხადებაში, შეიძლება მხოლოდ საფრანგეთისა და გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების ხელშეწყობით.

ᲙᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲰᲐᲐᲑᲐ, (საკადესი). ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს ინდონეზიასთან ოფიციალური მოლაპარაკება დასავლეთ ირიანის საკითხზე.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკორ.). რკინიგზის ქუთაისის მეორე სადგურის კოლექტივმა შესანიშნავი შრომითი გამარჯვებები მოიპოვა. მეორე კვარტალში დატვირთვის გეგმა გაანაღდა 119,2 პროცენტით, გადაჭარბებულ იქნა 108 პროცენტით, ნორმასთან შედარებით ვაგონების მოცდენა შეამცირა 1 საათითა და 27 წუთით. სტატიკური დატვირთვის პროგრესული მეთოდის გამოყენებით გზას დამატებით გაუთავისუფლდა ასამდე ვაგონი.

საგულისხმოა, რომ მარტო ვაგონების მოცდენის შემცირებით სადგურმა 9.000 მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს.

ამ დღეებში აქ სასიხარულო ცნობა მიიღეს. რკინიგზის საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების 1962 წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით ქუთაისის მეორე სადგურის კოლექტივი კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდა და მიეკუთვნა ამერიკაკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამ შესანიშნავ წარმატებებში მთელი კოლექტივის წვლილია. ყველაზე მეტად კი თავი ისახელეს კომუნისტური შრომის ცვლებმა, რომლებსაც სადგურის მორგეები ბ. კურტანიძე და ა. ფხაკაძე ხელმძღვანელობენ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკორ.). რიტმულად, მონდომებით შრომობს რკინიგზის ქუთაისის სადგურის კოლექტივი (უფროსი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ძ. გეგია, პარტიიურუს მდივანი ნ. ლაბაძე). რკინიგზელები წარმატებით იბრძვიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ამ დღეებში აქ სასიხარულო ამბავი შეიტყეს. შეჯამებულია ამერიკაკავკასიის რკინიგზაზე სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები.



საქართველოს სერვანტესი

დავით კლდიაშვილის დაბადების მეასე წლისთავისათვის

გამოჩენილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის შემოქმედება ერთ-ერთი ნათელი ფურცელია იმ მარად ცოცხალი და შუქმადლიანი მატიანისა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ჰქვია.

ამიტომაც არის დავით კლდიაშვილის სახელი ესოდენ ძვირფასი ყველა ჩვენგანისათვის. ამიტომაც აღნიშნავს წელს საქტემბერში ქართველი ხალხი ესოდენი სიყვარულით დავით კლდიაშვილის დაბადების მეასე წლისთავს.

შექმნილია რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან: ი. აბაშიძე, ხ. ბერულავა, თ. ბუაჩიძე, შ. ვერულაშვილი, კ. კალაძე, ზ. კვაჭაძე, ს. კლდიაშვილი, ა. მაჭავარიანი, მ. მრევლიშვილი, დ. მჭედლიშვილი, ი. ნონეშვილი, უ. ობოლაძე, გ. პაიჭაძე, ბ. უღენტი, ლ. ქიაჩელი (თავმჯდომარე), ა. ქუთათელი. დ. შენგელაია, ი. ჩხეიკვიშვილი, გ. წერეთელი, ვ. ჭელიძე, ს. ჭილაია (მდივანი), რ. ჯაფარიძე, უ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

დიდი საიუბილეო საღამო, მიძღვნილი დავით კლდიაშვილის დაბადების მეასე წლისთავისადმი, გაიმართება 25 სექტემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ლეო ქიაჩელი. დ. კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს დემნა შენგელაია.

23 სექტემბერს მწერლის სამშობლო სოფელ სიმონეთში, ხოლო 25 სექტემბერს დილით მთაწმინდაზე გაიმართება მიტინგები.

დავით კლდიაშვილის დაბადების მეასე წლისთავის აღსანიშნავ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრა, საქართველოს თეატრალური საზოგადოება საგანგებო სამეცნიერო სესიებს მიუძღვნიან გამოჩენილი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები მთელ საქართველოში წაიკითხავენ ლექციებს დავით კლდიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

კინოთეატრებსა და კლუბში მაყურებელი ნახავს იმ ფილმებს, რომლებიც შექმნილია დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით.

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე გამოსცემს დ. კლდიაშვილის თხზულებათა ერთტომეულს. მასობრივი ტირაჟით გამოვა პორტრეტი, პლაკატი, ღია ბარათები და საფოსტო ნიშნები გამოჩენილი მწერლის გამოსახულებით.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მოეწყობა საიუბილეო გამოფენა.

იუბილეში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვლენ სტუმრები, მოსკოვიდან, კიევიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან.

1962 წლის სექტემბერში დავით კლდიაშვილის დაბადების მეასე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება ავრეთვე მოსკოვში.

საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდია ამ დღეებისათვის შექმნის კინონარკვევს დ. კლდიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და ფირზე აღბეჭდავს საიუბილეო ზეიმს.

ამ ბეჯით კოლმეურნეს — ნ. სვანიძეს უყვარს თავისი საქმე. იგი ყოველთვის სანიმუშოდ უვლის ხეხილის ბაღებს და უხვი მოსავალი მოჰყავს. ამიტომ იმსახურებს საყოველთაო შექებას წყალტუბოს რაიონის სოფელ საუღლიის კოლმეურნეობაში. წელს კოლმეურნეობას ნაკისრი აქვს ხეხილის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 40 ცენტნერი ვაშლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32 ცენტნერისა. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი მებაღეს ნ. სვანაძეს (ზემო სურათზე).

ეს კი ელენე გეჯაძეა (ქვემო სურათზე), რომელმაც 1957 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მაშინვე მუშაობა დაიწყო საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. სულ მალე შეისწავლა გამოცდილი მეფრინველეების მ. ქაიხოსროშვილისა და მ. ხატაშვილის გამოცდილება და ამის შედეგად წარმატებასაც აღწევს.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქმესის ფოტოქრონიკა) და გ. გოგოხიასი.

დიდი ოქტომბრის მომზადების ყრილობა

რსდმპ (ბ) VI ყრილობის 45 წლისთავისათვის

ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის მის VI ყრილობას. ეს იყო ყრილობა, რომელიც ახალ ვითარებაში, კონტრრევოლუციის დროებითი, ნაწილობრივი გამარჯვებისა და რევოლუციური აღმავლობის მომწიფების პირობებში განაგრძობდა პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს — სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების ხაზს.

VI ყრილობა შეიკრიბა ივლისის ამბების შემდეგ, რომლებიც მკვეთრი მობრუნება იყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცნობილია, რომ 1917 წლის ივლისში პოლიტიკური ვითარება ჩვენს ქვეყანაში ძირეულად შეიცვალა. ორხელისუფლებიანობა, რომელიც მატერიალურად და ფორმალურად გამოხატავდა სახელმწიფო ხელისუფლების გარდამავალ მდგომარეობას, დროებით მთავრობის ერთხელისუფლებიანობით დამთავრდა.

ბოლშევიკების პარტიის წინანდელი გეზი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისა აღარ შეესაბამებოდა ახალ პოლიტიკურ ვითარებას. საჭირო იყო დროზე დასახვა ახალი ტაქტიკისა და ახალი ლოზუნგებისა, რომლებიც ყველაზე მეტად იქნებოდა შექმნილი პირობების შესაფერი. სწორედ ეს ამოცანა დიდმა ლენინმა შეასრულა.

ლენინის სტატიებში, რომლებიც ივლისის ამბების დამთავრებისთანავე დაიწერა, მოცემული იყო ზუსტი და ამომწურავი მითითებანი რევოლუციის განვითარების ახალ პერიოდში ბოლშევიკური ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხზე. „...საქმის ეს არსი იმაში მდგომარეობს, — წერდა ლენინი, — რომ ძალაუფლების მქონდობიანად აღება ახლა უკვე აღარ შეიძლება“ (თხზ., ტ. 25, გვ. 218).

შეაფასა რა მობრუნება რევოლუციის მსვლელობაში, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა წინადადება ფროებით მოხსნილიყო ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ და ყოველმხრივ დაესაბუთა პარტიის ამ ტაქტიკური ნაბიჯის საჭიროება. მან ცხადყო, რომ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ ივლისის ამბებამდე, ორხელისუფლებიანობის პირობებში, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგი იყო; ახალ ვითარებაში კი, როცა ხელიდან გაშვებული იყო მისი ასეთი განვითარების შესაძლებლობა, ეს ლოზუნგი არა მარტო მოძველდა, არამედ უფრო მეტიც, საზიანო იყო. მას შეეძლო მასებში შეექმნა ყალბი წარმოდგენა, თითქოს საბჭოებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახით, სადაც მთავარ როლებს ასრულებდნენ შემთანხმებლები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს ბურჟუაზიული ჯალათებისათვის ხელშეწყობით, ძალუძდათ თავიანთ ხელში აეღოთ ძალაუფლება. ეს ლოზუნგი, ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, სწორი აღარ არის ახალ პირობებში. „ამის გაუგებლად ვერაფერს გიგებ თანამედროეობის საარსებო საკითხებში“ („თხზ., ტ. 25, გვ. 214).

ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ დროებით მოხსნა იმას ორდინიშნავდა, როგორც გვიჩვენა ლენინმა, რომ ბოლშევიკების პარტია უარს ამბობდა საბჭოებში მუშაობაზე, საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებისათვის ბრძოლაზე, უარს ამბობდა საბჭოების რესპუბლიკის პროგრამულ მოთხოვნაზე. ლენინი მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ საბჭოები უდიდეს როლს შეასრულებენ რევოლუციის გამარჯვებაში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის ორგანოებიდან მის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ორგანოებად გადაიქცევიან.

ახალი ლენინური ტაქტიკა, რომელიც ივლისის შემდგომ ვითარებას შეესაბამებოდა, ჩაიწერა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებში. ამ ყრილობამ ერთსულოვნად დაგმო პრეობრაჟენსკის, ბუხარინისა და სხვების ანტილენინური გამოსვლები, ცხადყო, რომ მისი დელეგატები ერთგული იყვნენ ლენინის ტაქტიკისა რევოლუციაში. VI ყრილობამ რეზოლუციაში „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ ჩაწერა:

„ამჟამად მშვიდობიანი განვითარება და ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადასვლა საბჭოების ხელში შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ძალაუფლება ნამდვილად უკვე გადავიდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში.

ამჟამად სწორი ლოზუნგი შეიძლება იყოს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის სრული ლიკვიდაცია, მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატს, იმ პირობით თუ მას მხარს დაუჭერს უღარიბესი გლეხობა, ძალუძს შეასრულოს ეს ამოცანა, რომელიც ახალი აღმავლობის ამოცანას წარმოადგენს“.

ეროვნების კულტის გავლენით ისტორიულ-პატრიოტულ ლიტერატურაში, კერძოდ „მოკლე კურსში“, უგულებელყოფილი იყო ლენინის როლი ივლისის ამბების შემდეგ პარტიის ახალი ტაქტიკის შემუშავებაში და ყოველნაირად წინ იყო წამოწეული სტალინის როლი. ისტორიული სიმართლის საწინააღმდეგოდ, არსებითად ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღებული აჯანყების მომზადების ბოლშევიკური კურსის დასაბუთება ეკუთვნის სტალინს, რომ თითქოს მან დააყენა პარტიის ტაქტიკის ძირეული საკითხი: რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის გაქრობის საკითხი, ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ დროებით მოხსნის საკითხი. VI ყრილობის მუშაობის გაშუქებისას მთელი ყურადღება ექცეოდა სტალინის გამოსვლებს, რომელიც ფაქტიურად გამოყენებულია ამ ყრილობის ერთადერთ ხელმძღვანელად.

ნამდვილად კი VI ყრილობის შთამაგონებელი და ხელმძღვანელი ლენინი იყო. პეტროგრადის მილის ქარხნის მუშეა, ისევე როგორც ბევრი სხვა, მიესალმებოდნენ რა VI ყრილობას, ღრმა მწუხარებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მას ვ. ი. ლენინი არ ესწრებოდა. ამასთან ერთად პროლეტარებმა განაცხადეს, დარწმუნებული ვართ, რომ „ყველა მისი იდეა, აზრი საფუძველი იქნება ყრილობის მთელი მუშაობისთვისო...“

სინამდვილეში ასეც იყო. იატაკქვეშეთში მყოფ ლენინს მუდმივი კავშირი ჰქონდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და მისი მეშვეობით ახორციელებდა ყრილობის ხელმძღვანელობას. ყრილობის პირველსავე სხდომაზე ლენინი არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. ბოლშევიკი მუშა, არალეგალურად მომუშავე ნ. ა. ემელიანოვი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დავალებით ლენინს რაზლივში მალავდა, გვიამბობს: „ზოგჯერ ჩვენი ქოხი შტაბს მოგვაგონებდა... იმ ხანად მზადდებოდა და მოეწყო ჩვენი პარტიის მეექვსე ყრილობა. ის, ვინც ამ ყრილობის სული და გული იყო, ქოხში იმალებოდა... ყრილობას ხომ ამზადებდა და მის მუშაობას წარმართავდა, ილიჩი დაწერილებით და დიდხანს ესაუბრებოდა ამხანაგებს...“

ყრილობის დელეგატი ბ. ზ. შუმიაცი თავის მოგონებებში წერდა: „ილიჩი იატაკქვეშეთში იყო, მაგრამ ბელადის ხელი ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა. თეზისები, რეზოლუციების პროექტები, დირექტივები — ყველაფერი ეს ილიჩისგან მომდინარეობდა...“

ლენინის ნაშრომები „პოლიტიკური მდგომარეობა“, „ლოზუნგებისათვის“ და სხვები საფუძვლად დაედო VI პარტიული ყრილობის მუშაობას, ყველა მისი გადაწყვეტილების იდეური საძირკველი გახდა.

ადგილებიდან მოხსენებებში ყრილობის დელეგატებმა დახატეს სურათი მშრომელი მასებისათვის ბოლშევიკების თავდადებული ბრძოლისა, რევოლუციური ძალების აღზრდისა და მჭიდროდ შეკავშირებაში მათი წარმატებებისა, რომლებიც მოპოვებული იყო იმ ბრძნული, სწორი პოლიტიკური ხაზის მეოხებით, რომელსაც ახორციელებდა პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით. მაგალითად, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მოხსენებაში, რომელიც ვ. ნ. პოდბელსკიმ გააკეთა, ხაზგასმით იყო აღნიშნული სრული ერთსულოვნება მოსკოვისა და პეტროგრადის ბოლშევიკების იდეურ მუშაობასა და ტაქტიკაში. „ეს ერთიანობა, რომლის მიღწევა ხდებოდა წინასწარ შეუთანხმებლადაც, — ამბობდა იგი, — გვარწმუნებს, ამხანაგებო, ჩვენი პოზიციის ცხოველუნარიანობაში და კიდევ უფრო მეტ რწმენასა და ენთუზიაზმს აძლევს ჩვენს მუშაობას“.

ბოლშევიკების ტაქტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც VI ყრილობამ განიხილა, იყო საკითხი „ხელისუფალთა სამსჯავროს წინაშე გამოცხადებისათვის ვ. ი. ლენინის მიერ თავის არიდების შესახებ“. ყრილობის „მუშაობის პირველსავე დღეებში გაზეთ „რაბოჩი ი სოლდატში“ ვლადიმერ ილიას-ძემ დაბეჭდა სტატია „პასუხი“, რომელშიც წერდა: „რა თქმა უნდა, უდიდესი გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ წერეთლის, კერენსკისა და კომპანიის სამინისტროს მიერ ზოლშევიკების წინააღმდეგ აღძრული „სასამართლო საქმეები“ ნამდვილ სასამართლო საქმეებად მიგვეჩნია. ეს სრულიად შეუწყნარებელი კონსტიტუციური ილუზია იქნებოდა“ (თხზ., ტ. 25, გვ. 259).

პარტიაში მაინც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც აყვნენ ამ „მიუტევებელ კონსტიტუციურ ილუზიას“. მაგალითად, კამენევმა, მისი სიტყვით, ნებაყოფლობით „გადასცა თავისი თავი სასამართლო ხელისუფლების განკარგულებაში“. სწორედ ასევე მოიქცა „მეტრაიონცების“ ლიდერი ტროცკიც. თავიანთი ქცევით ისინი ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ხელისუფლებათან გამოუცხადებლობის პოზიციისათვის, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაკავა, მოუწოდებდნენ მას მიეცა მათი მაგალითისათვის. ტროცკიმ უფრო გვიან, 1917 წლის სექტემბერში, აღიარა, რომ მას მიაჩნდა: „ლენინი უნდა დანებებოდა ხელისუფალთ...“.

სტატიაში „პოლიტიკური შანტაჟი“ ვ. ი. ლენინი გმობდა კამენევის პოზიციას და წერდა: „ვიყოთ ურყევნი სულ მცირედი ეჭვების გარჩევაში შეგნებული მუშების სასამართლოს მიერ, ჩვენი პარტიის სასამართლოს მიერ; ჩვენ ვენდობით ჩვენს პარტიას, ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს...“ (თხზ., ტ. 25, გვ. 312).

სასამართლოში ვ. ი. ლენინის გამოცხადების საკითხის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე. მან განაცხადა, რომ ვლადიმერ ილიასძეს წაყენებული აქვს ბრალდება იმავე მუხლებით, რომლებიც რევოლუციონერებისათვის ცარიზმის დროს არსებობდნენ. ეს გაკეთა „სოციალისტმა“ კერენსკიმ, რომელმაც საქმის წარმოება დაიაბა მეფის ცნობილ მედილეგეს ალექსანდროვს. მოხსენების დასასრულს ორჯონიკიძემ თქვა: „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავანებოთ ამხ. ლენინი....“

სტალინმა ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო საბოლოო სიტყვაში აზრი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ ლენინი გამოცხადებულიყო მოცემულ ხელისუფალთა სამსჯავროს წინაშე და მოცემულ მომენტში. ამავე დროს მან განაცხადა: „ხოლო თუ სათავეში იდგება ხელისუფლება, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს ჩვენი ამხანაგები ძალადობისაგან, რომელსაც ექნება თუნდაც ოდნავი ღირსება... ისინი გამოცხადდებიან“. სტალინის ეს პოზიცია გამომდინარეობდა იმ არასწორი შეფასებიდან, რომელიც მან მისცა კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციას ივლისის ამბების შემდეგ, რაც ჩანს მისივე სიტყვებიდან: „მოცემულ მომენტში ჯერ კიდევ მაინც არ არის ნათელი, ვის ხელშია ძალაუფლება... მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამორკვეულა, ჯერ კიდევ წარმოებს ყრუ ბრძოლა ოფიციალურ ხელისუფლებასა და ფაქტიურ ხელისუფლებას შორის...“

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას სხვა შეფასებას აძლევდა. ნაშრომში „ლოზუნგებისათვის“, რომელიც ყრილობის დელეგატებს დაურიგდათ, იგი წერდა: „ხელისუფლების მერყეევი მდგომარეობა შეწყდა, ძალაუფლება გადამწყვეტ ადგილას კონტრრევოლუციის ხელში გადავიდა“ (თხზ., ტ. 25, გვ. 217). სტატიაში „პასუხი“ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ახლა სამხედრო და, მაშასადამე, სახელმწიფო ძალაუფლება ფაქტიურად უკვე გადავიდა კონტრრევოლუციის ხელში, რომელსაც წარმოადგენენ კადეტები და რომელსაც მხარს უჭერენ ესერები და მენშევიკები“ (თხზ., ტ. 25, გვ. 256.).

გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების განხილვისას სასამართლოში ლენინის გამოცხადებას მხარი დაუჭირა სულ რამდენიმე დელეგატმა. ესენი იყვნენ მ. მ. ვოლოდარსკი, მ. მ. ლაშევიჩი, დ. ზ. მანუილსკი, „მეტრაიონცები“. მათ მიაჩნდათ, რომ ლენინს გასამართლება შეიძლებოდა გადაექციათ კერენსკის მთავრობის გასამართლებად. მათ მიერ შეტანილ რეზოლუციაში წამოყენებული იყო მოთხოვნა შემდეგი „გარანტიებისა“: სრული პირადი უშიშროებისა, გამოძიების საჯაროდ წარმოებისა, გამოძიებაში საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის მალე გარჩევისა. ვოლოდარსკი, მაგალითად, აცხადებდა, პარტიას იმის იმედი ყველა გარანტია აქვს, რომ ამ პროცესიდან გამარჯვებული გამოვიდესო.

დელეგატებმა გადაჭრით გაილაშქრეს პარტიისა და რევოლუციის ბელადის „ბრალის გასამართლების“ წინააღმდეგ. „ჩვენ ნათლად და გარკვეულად უნდა ვთქვათ, — ამბობდა ფ. ე. მერეჟინსკი, — რომ კარგად მოიქცნენ ის ამხანაგები, რომლებმაც ურჩიეს ამხ. ლენინს... არ დაეპატიმრებინებინა თავი. ჩვენ ნათლად უნდა ვუპასუხოთ ბურჟუაზიული პრესის მიერ დევნას, რომელსაც სურს რევანშ შეიტანოს მუშათა რიგებში... ჩვენ არ ვენდობით დროებითს მთავრობასა და ბურჟუაზიას... ჩვენ არ დავანებებთ ლენინს.“.

VI ყრილობამ პროტესტი განაცხადა რევოლუციური პროლეტარიატის ბელადის ბურჟუაზიულ-პოლიციური დევნის წინააღმდეგ, მისალმება გაუგზავნა ლენინს. ყრილობამ გამოხატა რევოლუციური მასებისა და მთელი პარტიის ნება, როცა ერთხმად გამოთქვა აზრი იმის წინააღმდეგ, რომ ლენინი გამოცხადებულიყო დროებითი მთავრობის სამსჯავროს წინაშე, რადგან არ იყო „აბსოლუტურად არავითარი გარანტია არა მარტო სასამართლოს მიუკერძოებლად წარმოებისა, არამედ სამართალში მიცემულთა ელემენტარული უშიშროებისაც...“

რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებანი მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების, მისი რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის იმ რეალური ვითარებისადმი შეფარდების მკაფიო ნიმუშია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1917 წლის შემოდგომაზე შეიქმნა.

ბოლშევიკების პარტიამ მშრომელებს მიუთითა, რომ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზაზე, სოციალიზმის გზაზე დადგომას შეუძლია მიიყვანოს ჩვენი ქვეყანა ნამდვილ თავისუფლებასა და პროგრესამდე. VI ყრილობამ თავის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთისათვის ეკონომიური რღვევის უფსკრულიდან და დაღუპვიდან ერთადერთი გამოსავალია ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში. ყრილობის ყველა გადაწყვეტილება გამსჭვალულია ლენინური დებულებით მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის შესახებ, როგორც იმ გადამწყვეტი საზოგადოებრივი ძალის შესახებ, რომელსაც ძალუძს დაძლიოს კაპიტალისტთა და მემამულეთა წინააღმდეგობა და უზრუნველყოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ყრილობამ განამტკიცა პარტიის ლენინური პოზიცია, მიმართული პროფკავშირთა ნეიტრალობის მგნშენეკური თეორიის წინააღმდეგ; მხარი დაუჭირა ახალგაზრდობის კავშირების შექმნას, რომლებიც ორგანიზაციულად დაკავშირებულნი არ იქნებოდა პარტიისადმი, მაგრამ რომლებსაც პარტია იდეურად გაუწევდა ხელმძღვანელობას.

ლენინური სტრატეგიითა და ტაქტიკით, თავისი VI ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ ერთ რევოლუციურ ნაკადად შეაერთა მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის, საერთო-სახალხო მოძრაობა მშვიდობისთვის, გლეხთა ბრძოლა მიწისათვის, რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნული განთავისუფლებისათვის, წარმართა ეს ძალები კაპიტალიზმის დასამხობად და უზრუნველყო დიდი ოქტომბრის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება საბჭოების ფორმით.

სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ, კომუნისტური პარტიის სტრატეგიამ და ტაქტიკამ თავისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარება ჰპოვა სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებში. დაგმეს რა სტალინს პიროვნების კულტი, იდეურად გაანადგურეს რა ანტიპარტიული ჯგუფი, ჩვენმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ვაღორმავეს და გაიფართოეს გზები ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების პერიოდის სტრატეგიისა და ტაქტიკის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, გაეკეთეს ახალი პრინციპული, თეორიული და პრაქტიკული დასკვნები სსრ კავშირის თანამშრომელ საერთაშორისო მდგომარეობისა და შინაგანი განვითარების ძირეულ პრობლემებზე.

სკკპ ახალი პროგრამა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიული გამოცდილების განზოგადების ნიმუშია.

ი. კეტროვი.

ჩამწარებული სიხარული

ტყიბულელმა შახტმშენებლებმა გასული წლის ნოემბერში თბილისის ქუჩაზე ააგეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს მუშათა ახალი საცხოვრებელი უბანი. მისი არქიტექტურული ანსამბლი ხუთი ოთხსართულიანი სახლისაგან შედგება. სამწუხაროდ, მშენებლებმა იჩქარეს და ბევრი რამ დაუმთავრებელი დატოვეს. იმხანად შახტმშენებლები ჩვენ, ახალმოსახლეებს, დაგვპირდნენ, რომ ყველაფერს მალე მოაგვარებდნენ. გავიდა საკმაოდ დიდი დრო. მშენებლებმა თავი შეირცხვინეს, პირობა დაივიწყეს, სიტყვა გატეხეს. დაუმთავრებელი სამუშაოები მობინადრეებს დიდ უსიამოვნებას გვაყენებს, ახალი, ნათელი ბინების მიღებით გამოწვეულ სიხარულს გვიმწარებს.

იმ საცხოვრებელი სახლის სარდაფები, რომელიც ყველაზე ბოლოს იქნა აგებული, უხარისხოა. წამოწვიმს თუ არა, იქ წყალი მუხლამდე დგება, რაც დიდ უხერხულობასა და ანტისანიტარიას იწვევს. შეშა და ნახშირი ვერსად შეგვინახავს, საცხოვრებელი უბნის ეზოში სრული უწესრიგობაა. ყველგან ნაგავი ყრია, ოღრო-ჩოღრო ადგილებში დამყაყებული, აშმორებული წყალი დგას. საითაც კი გიხედავთ, რკინის რელსები, ძელები და ქვების მიმოფანტული. ხანძარსაწინააღმდეგო ვეებერთელა აუზი, რომელიც შუა ეზოშია, უთავსახურავოდ მიატოვეს მშენებლებმა. ეს საფრთხეს უქმნის ბავშვებს.

მობინადრეებმა გასული ზამთარი სიცივეში გავატარეთ. საქმე ის არის, რომ უვარგისი აღმოჩნდა ცენტრალური გათბობის ქსელი, საქვაბე მეურნეობიდან აქ არ მოაღწია თბილმა წყალმა. წელს მშენებლებმა პროექტი შეცვალეს, მილგაყვანილობის არსებული ქსელი, რომლის მშენებლობა დიდძალი თანხა დაჯდა, მიატოვეს და გადაწყვიტეს საცხოვრებელი უბნისათვის ააგონ საკუთარი საქვაბე მეურნეობა. გაბაფხულზე შეადგინეს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, მშენებლობისათვის გამოჰყვეს ფულიც. უკვე ზაფხული იწურება, ზამთრისათვის მზადების აეროზონი დადგა, მაგრამ აქ საქვაბე მეურნეობის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ეტყობა მომავალი ზამთრის გატარება კვლავ სიცივეში მოგვიხდება.

დღემდე არ არის მოგვარებული საცხოვრებელი უბნის სასმელი წყლით მომარაგების საქმე. უწყლობით კანალიზაციის ქსელი ფუჭდება და ნაგვინდება, ონკანები კი იჟანგება და უვარგისი ხდება.

მობინადრეებმა არაერთხელ მივმართეთ მშენებლებს ამ საკითხების მოსაგვარებლად, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებებს გვთავაზობენ.

ი. არსენიძე, ქ. ახვლედიანი, ვ. მინაშვილი, ო. არსენიძე, გ. ბაკურაძე, ც. ჯგარშეიშვილი.

ნერილები რედაქციას

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ბრალი ედება სასამართლოს“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო სასამართლო ორგანოებში საქმეების განხილვის გაჭიანურების ფაქტები. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოდან გვატყობინებენ:

ჩვენ მიერ შემოწმებულ იქნა წერილში გაშუქებული საკითხები. გამოირკვა შემდეგი: თვით ფაქტი ორი კონკრეტული საქმის გაჭიანურებისა სინამდვილეს შეეფერება და იგი წერილში სწორად არის გაშუქებული. წერილში მითითებული პირველი საქმე იმ პერიოდში მართოდა იმყოფებოდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში და დაშვებული იყო გაჭიანურება სახალხო მოსამართლეების ა. გოგბერაშვილის, რ. ჭოღოშვილის, თ. სვანიძის მიერ.

საქმეების გაჭიანურებისათვის სახალხო მოსამართლეები გაფრთხილებულ იქნენ, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული მსგავსი დარღვევები.

ამავე წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროკურატურიდან გვაცნობეს, რომ „საკუთფლტექნიკის“ ახალქალაქის სამშენებლო უბანში მოკლე ხანში დამთავრდება დოკუმენტალური რევიზია.

სურათზე: ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის პირველი შახტის მესამე უბნის მოწინავე მნგრეველთა ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ე. რუდოი, მ. ხალნიკოვი, ბ. გურგენიძე, შ. საჯაია, ბ. შონია და მ. კლიმეკი.

ფოტო ო. არობელიძისა.

დამსვენებელთა გულისტკივილი...

დაბა სურამში ზაფხულობით მრავალი მშრომელი ისვენებს: აქ მოდიან ტურისტები, ექსკურსანტები, ეწყობა პიონერთა ბანაკები.

დამსვენებლებს ამ მშვენიერი კურორტისაკენ იზიდავს შესანიშნავი ჰავა, ფიჭვისა და შერეული ტყეები, ბუნებრივი სამკურნალო წყაროები, მწვანედ მოხასხასე ბუნება ახარებს თვალსა და გულს.

მაგრამ დამსვენებლებს გული სტკივათ, რომ აქ ცუდად იყენებენ ბუნებრივ სიმდიდრეს. შადრევანივით ჩქეფს სამი მინერალური სამკურნალო წყარო: ბიჯნისის, ჩუმათელეთისა და სურამისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წყაროები კეთილმოუწყობელი, გამოუყენებელია, უმიზნოდ იღვრება და მდინარე სურამულას უერთდება.

დაბა სურამში არ არის კეთილმოწყობილი სასტუმრო, არსებული ძველი ათოთახიანი სასტუმრო კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დამსვენებლებს. საზოგადოებრივი კვებაც მოუგვარებელია: ორი კეთილმოუწყობელი სასადილო სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას, დიეტურ კვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. წყალსადენის უვარგისობის გამო წყალი ხშირად არ მოდის.

ყოველივე ეს დამსვენებლებს სტკენს გულს, მაგრამ, ეტყობა, კურორტის დაბის მესვეურებს არ აწუხებს.

ვ. მჭედლიშვილი.

მკითხველის დასახმარებლად

ჟურნალი „კომუნისტი“ №11

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „კომუნისტის“ მორიგი მე-11 ნომერი.

ნომერში გამოქვეყნებულია მოწინავე — **„მშვიდობის დაცვა თითოეული ხალხის, თითოეული კაცის საქმეა“**, სტატიები: გ. ობიჩკინისა — **„დიდი ოქტომბრის მომზადების ყრილობა“** (პარტიის VI ყრილობის 45 წლისთავის გამო), ც. სტეპანიანისა — **„მასების კომუნისტური შეგნების ფორმირება“**, ქალაქ ჰალეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) უნივერსიტეტის პროფესორის ლეო შტერნისა — **„გერმანიის იმპერიალიზმი და ისტორიის გაყვეთილები“**.

ჟურნალში შეშოლებულია ახალი განყოფილება **„შრომის ნაყოფიერება მთავარია კომუნიზმის გ

ᲬᲧᲐᲚᲯᲣᲑᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ

ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲘ ᲭᲐᲚᲐᲚᲓᲘ მაინც ყველაფერს იტანს... ახალი სასწავლო წლისათვის მზადება რომ დაიწყეს, წყალტუბოელებმა თუთრზე შავად ჩამოწერეს — ამ ხუთიოდე წლის წინათ დაწყებულ ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის მშენებლობას ეშველება და 1 სექტემბრისათვის სკოლა საექსპლოატაციოდ გადაეცემა, სოფელ გუბისწყლის რვაწლიან სკოლასაც ვადაზე ადრე შენებთ. ეს კიდევ ცოტაა. რაიონის სკოლებს დამატებით 28 საკლასო ოთახს მივუშენებთ და სკოლების რემონტს ვადაზე ადრე მოვრჩებითო.

ახლა, როცა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დღეებიღა დარჩა, უნდა: „გვეფიქრნა, რომ სკოლების მშენებლობისა და რემონტის ტემპი გაგვახარებდა. სამწუხაროდ, გულნატკენი დავრჩით. პირდაპირ რომ ვთქვათ, სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ საექსპლოატაციოდ გადასაცემი ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის მშენებლობისათვის მიმდინარე წელს გამოყოფილი სახსრები № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის მე-2 სამმართველოს მშენებლებს (უფროსი ბ. ყუბანეიშვილი) 26 ივლისისათვის მხოლოდ 48,6 პროცენტით ჰქონდა ათვისებული. ასევე სანახევროდ არ აუთვისებია რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს (თავმჯდომარე გ. კეპულაძე) გუბისწყლის რვაწლიანი სკოლის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები.

რაიონის სკოლების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული 110 ათასი მანეთიდან დღემდე მესამედზე ნაკლები — 32 ათასი მანეთია ათვისებული.

ასე გამოიყურება საქმე ციფრებში...

და როცა ადგილებზე სასკოლო მშენებლობის გასაცნობად გავემგზავრეთ, კიდევ უფრო ცუდი სურათის მოწმენი გავხდით. აქ ერთხელ კიდევ ადასტურებს რომ მშვიდობიანი თანაარსებობის კეთილშობილური იდეები, რომლებისთვისაც იბრძვის პროგრესული კაცობრობა, სულ უფრო ეუფლება ახალგაზრდობის გულებსა და გულს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: საბჭოთა და უცხოეთის პრესა იუწყებოდა მოფაშისტო ელემენტების გამოხდომების შესახებ ფესტივალის წინაღმდეგ. როგორ შეიძლება შეეფასოთ ახალგაზრდობის შეხვედრების მორწმუნეთა ეს მოქმედება?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ახალგაზრდობის მსოფლიო შეხვედრების მტრებმა განახორციელეს საზიზღარი ღონისძიებანი, რომ ჩაეშალათ, ხელი შეეშალათ ჰელსინკის ფესტივალისათვის. უნდა ითქვას, რომ წარსულში არასოდეს არ გამოსულან ფესტივალის საწინააღმდეგო ძალები ასე ორგანიზებულად. ფესტივალის მტრებს ედიდესი ს

ცოცხალი კუნძული

0-2 — ასე რეკავენ თბილისელები მილიციაში.

— გისმენთ ქალაქის მილიციის მორიგე...

— მოხდა მკვლელობა!

— მკვლელობა?

— დიახ... მკვლელობა...

ოპერკგუფი გადის ოპერაციაზე. ადგილმარტივი დათვალიერება, დაქტილოსკოპია, დანაშაულის კვალის ნიშნების ზუსტი აღნუსხვა და... ვინ არის მკვლელი?

... 0-2 — წკრიალებს ტელეფონი.

— მოხდა ქურდობა.

— მისამართი?

ფანჯრის მინა ამოღებული, გარდერობის კარი გამოტეხილი.. რაფაზე თითების ანაბეჭდების კვალი... ეს არის და ეს... ვინ არის ქურდი?

კვლავ რეკავს ტელეფონი.

— სოფანლუღის გზაზე გაძარცული მანქანაა მიგდებული...

— უდედმამო ბავშვი ვიპოვნეთ, რა ვქნათ?

— მოხდა აეტოავარია!...

დღე და ღამ წკრიალებს ეს ტელეფონი, გამოუზმაურებელი არ რჩება არცერთი წერილმანიც კი.

ერეკლე მეორის მოედანზე დგას ეს სახლი, მილიციის სამმართველო. აქ არიან ადამიანები, რომლებიც განუწყვეტლივ ხსნიან უამრავ კითხვის ნიშნებს, ებრძვიან ათასგვარ ეჭვს.

მილიციის ოპერატიული მუშაკები. სათქმელად არაფერია, ყველა ჩვენგანს გვინახავს ისინი, ჩვეულებრივი, ყველას მსგავსი ადამიანები. მაგრამ ვთქვათ სინდისის წინაშე, ყველა არ ჩავფიქრებიკართ, თუ რამდენად რთული და ძნელია მათი ცხოვრების გზა, მათი ყოველი დღე.

თითქმის ყველა მოსამსახურემ იცის, სად იქნება და რას გააკეთებს დღეს, მილიციის მუშამაკ კი არა, რა იცის რა მოხდება, ან სად იქნება. ვისთან მოუხდება შეხვედრა.

პოლკოვნიკ სერგო მამულოვის ოთახში ერთი დღის განმავლობაში ათას რამეს მოისმენთ. ქურდები, მძარცველები, მოძალადეები... აქ დამნაშავეთა „ლაბორატორიაა", სადაც ხდება მათი „პირველადი" დამუშავება.

პოლკოვნიკი და მისი მოადგილე გოგი გუჩმაზაშვილი შემფოთებული ლაპარაკობდნენ.

— მაშ დროის ამ მოკლე მონაკვეთში თერთმეტი ქურდობა მოხდა!

— თერთმეტი, ამხანაგო პოლკოვნიკო...

— მდაა... სამზუსტაროა...

— „გასტროლიორი" იქნება...

— ან ახალი ჯგუფი. — დასძინა მოადგილემ.

თერთმეტი ქურდობა დროის ერთ მცირე მონაკვეთში! შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა. ქვედანაყოფებმა მიიღეს დავალებები, ამუშავდა მთელი აპარატი, მაგრამ ქურდი თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

თვალი გადაავლეს ძველ „საქმოსანთა" სიას. ბევრი მათგანი პატიოსნად შრომობს, ზოგიც იზოლაციაშია. სად არის „ძია სამი"?

„ძია სამას" ზეწდმიწევნით იცნობენ ოპერატიული მუშაკები — შოთა პოდოროვი, უშანგი ჭიჭინაძე, ბიჭიკო მუმლაძე...

შოთა პოდოროვმა, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჭაღარა კაპიტანმა, ადვილად მოძებნა ძველი ნაცნობი. იგი შაქრის ექსპედიტორად მოწყობილა, და როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, ამ შაქრით თვითონაც სარფიანად იტკბარუნებდა პირს. თუ კაცი კარგად აწონ-დაწონიდა საქმეს, „ძია სამას" ვერსია თავისთავად იხსნებოდა, კაცი მოხუცდა, მუშაობს, შემოსავალი აქვს. მაშ ვინ არის ქურდი, ციდან ჩამოვარდა?

— მილიცია იპოვნის?.. ჰმ... მილიციის ნაპოვნი მე ჯერ არაფერი მინახავს! — იგესლებოდა ავისმთქმელი ერთი დაზარალებული.

ერთ დილით თბილისში ბაზრის შესასვლელთან დაკაკვეს ბეჭი, რომელიც საწოლის გადასაფარებლებს ჰყიდდა. მიჭერს, ბატონო, და ვყიდიო. ნაქურდალთა სიაში მსგავსი საქონლის დასახელება არ აღმოჩნდა, და მილიციამ ბიჭის განთავისუფლება დააპირა. მაგრამ ამ დროს, სრულიად შემთხვევით, — კაპიტან პოდოროვის ოთახში იყო ბათუმელი გამომძიებელი, რომელიც ბათუმში იმ კვირაში მომხდარი ქურდობის შესახებ ლაპარაკობდა. შოთამ „ყოველ შემთხვევისათვის" მასაც აჩვენა ეს გადასაფარებლები. გამომძიებელმა ნაქურდალი ამოიცნო. ქურდი ბათუმში წაიყვანეს, მალე ბათუმიდან დარეკეს, რომ ეს ბიჭი თერმეტივე ბინის გაქურდვის მონაწილეაო. კაპიტანი პოდოროვი მაშინვე გაფრინდა ბათუმში და მეორე დილით უკვე მილიციის სამმართველოში ჰკითხავდნენ ბრალდებულს. უდედმამო ბიჭს გაუცვნია „ძია სამა" და მასთან მიუღია „ნათლობა".

გამართლდა გუმანის ნაკარნახევი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავდა. „ძია სამასთან" ბრძოლა არც თუ ადვილი საქმე იყო. როგორ გინდა დაუტკიცო დანაშაული? დაპირისპირება? — აზრი არა აქვს, ყველაფერზე უარს იტყვის. საჭირო იყო სხვა რაღაც ხერხი, სხვა ალაღი საშუალება.

მალე გამოირკვა, რომ შაქრის პატიცემული ექსპედიტორი მახათით ჩხვლეტილი დადის. ოპერაციაზე გეყავით, დაკვალიერეთ გაქურდული ბინა. მაშინვე ვიცანი გურამის „ხელწერა" —მორგებული გასაღები, ხელუხლებელი ნივთები. იგი ეძებს ფულს, საპროცენტიან ობლიგაციებს, ოქროს, იშვიათად თუ წაიღებს სხვა რამეს. იარაღს ხელს არ მოჰკიდებს, არავითარ შემთხვევაში. დიდხანს ვდიეთ, ბოლოს მელიქიშვილის ქუჩაზე, შევისწავლეთ „საქმეზე". კაპიტანი ბუზვაძე და მაიორი ჯილავდაროვი მიადგნენ პირდაპირ, წამით შეკრთა, მაგრამ გვიან იყო...

...ამ სახლში იცნობენ ყველა დამნაშავეს, იციან, ვინ როდის ამთავრებს სასჯელს, ეხმარებიან სამუშაოზე მოწყობაში, ზრუნავენ ადამიანზე.

ფელიქს ძერჟინსკი ასეთ ადამიანებზე წერდა: მათ გამჭირნაი გონება და სუფთა ხელები უნდა ჰქონდეთო; დიახ, ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ გამჭრიახი გონება, სუფთა ხელები, კეთილსინდისიერება, თავგანწირვა, ცეცხლი და გული...

რ. დვალიშვილი.

• • •

სურათებზე: ზევით — (მარცხნიდან) **გ. გუჩმაზაშვილი, შ. პოდოროვი, ბ. მუმლაძე** და **უ. ჭიჭინაძე; ქვევით — „ღამით დანაშაულის კვალდაკვალ".**

ფოტო ვლ. **გინზბურგისა.**

ახალგაზრდობის ბალეტის დღესასწაული

რიგა. (საკადრო). მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ბალეტის მსახიობთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ლატვიაში, რათა მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობის ბალეტის დღესასწაულში, რომელიც მესამე წელია ზედიზედ იმართება რესპუბლიკაში.

5 აგვისტო, ლატვიის სსრ ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა პირველი კონცერტი ამ შესანიშნავი დღესასწაულისა, რომელიც ტრადიციად იქცა. ბალეტების „უიზელის", „კორსარის", „მძინარე მზეთუნახავის", „კალეიპოეგის", „ქვის ყვავილის", „მარუსა ბოგუსლავკას" ნაწყვეტები, აგრეთვე ბევრი საბალეტო მინიატიურა შეასრულეს სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა მ. ლიეპამ, უკრაინის სსრ კავშირისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტებმა ე. სტებლიაკმა და ა. შჩურმა, ესტონელმა ბალეტის ახალგაზრდა მსახიობებმა ტ. კოტელკოვამ და ვ. არენსმა, საქართველოს ბალეტის სოლისტებმა ლ. მითაიშვილმა, ე. ჭაბუკიანმა, ბ. მონავარდისაშვილმა, ვილნიუსის, მინსკის, რიგის ოპერისა და ბალეტის თეატრების წარმომადგენლებმა.

ხელოვნება და ცხოვრება

□ **ცხაკაიაში** გასტროლები გამართა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. ცხაკაიელ მაყურებლებს თეატრის კოლექტივმა უჩვენა დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება", გ. მდივნის „გუგას და გიგოს მილიონები", ა. არბუზოვის „დაკარგული შვილი", ა. ოსტროვსკის „უმზითვო", უ. შექსპირის „ოტელო" და სხვ.

ს. კუჭავა.

□ **ცხინვალის** კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური კოლექტივი ორი თვით საგასტროლოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას უჩვენებს თავის საუკეთესო დადგმებს.

ვ. ფელქოევი.

□ **თერჯოლის** სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ავქსენტი ცაგარელის ისტორიული დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ". სპექტაკლი დადგა სცენისმოყვარე ბ. მაკარიძემ, მხატვრობა ეკუთვნის ვ. ნიფარიძეს.

ნ. ქოჩიაშვილი.

ტურისტული საგზურით

ჰიათურა. (საკ. კორ). ასობით მაღაროელი და მშენებელი საგზურებით ისვენებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. დასვენების კარგი ფორმაა აგრეთვე ტურისტული საგზურებით მოგზაურობა.

ამ დღეებში ჰიათურიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტურისტული საგზურით გაემგზავრა მაღაროელთა ჯგუფი 29 კაცის შემადგენლობით. მასში შედიან მაღაროელები დ. კაპანაძე, ბ. კვეტენაძე, ა. ჩაჩანიძე, ინჟინერი თინა ნადირაძე, ზეინკლები დ. კლდიაშვილი, ი. მოდებაძე და სხვები.

ჰიათურელები გაეცნობიან გერმანელ სამთოელთა შრომასა და ცხოვრებას, ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ტურისტი მთის ტბასთან.

ფოტოტიუდი **დ. იაკობაშვილისა.**

ხიდი მატერიკიდან კუნძულებზე

ბაკო, (საკადრო). კასპიის ზღვაზე, სანგაჩალის კონცხის მახლობლად, დაიწყო მონალექი ჯებირის მშენებლობა, წყალმარჩხობის წყალობით ქვაშის „ენა" ზღაპრული სისწრაფით მიიწევს ზღვისაკენ. ქვაშის საზღვარ ზეა გაკაკვთ ბაქოს არქიპელაგის კუნძულების ბელისა და დუვანის მიმართულებით, რომლებიც ნაპირს 15-20 კილომეტრით არიან დაშორებული. უახლოეს ხანში ხელოვნურ ხმელეთზე დაიწყება პირველი სამეიმო ჭაბურღილის მშენებლობა.

კუნძულების ბელისა და დუვანის აკვატორია დიდხანია იპყრობს ბაქოელ მენავთობეთა ყურადღებას. საზღვარ რაიონს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ გაზის მძლავრი შადრევნები, რომლებიც მცირე სიღრმის სამეიმო ჭაბურღილებიდან ამოდის, და წყალქვეშა ვულკანური ამოფრქვევანი. მაგრამ მატერიკის სწორედ რომელ წერტილიდან უნდა გაიდოს ხიდი კუნძულებზე, რომ მან გაიაროს ყველაზე უფრო პერსპექტიულ საზღვაო უბნებზე? ამ შეკითხვაზე პასუხი უნდა გასცეს ჯებირებზე აგებულმა სამეიმო ჭაბურღილებმა.

ზღვის ნავთობის მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტმა უკვე მოამზადა გეგანტური ხიდის პროექტის ყველაზე შესაძლებელი ვარიანტი. ხიდი ბელისა და დუვანის კუნძულებს „დიდ მიწასთან" დაუკავშირებს. იგი დაიწყება მატერიკიდან სამი-ოთხი კილომეტრი სიგრძის ფართო მონალექი ჯებირით. ღრმა წყალში თვით კუნძულებამდე მონალექ ჯებირს გააგრძელებს რკინაბეტონის ესტაკადა, რომელზეც იქნება სარკინიგზო ლიანდი, აგრეთვე ორი კარი გემების გასატარებლად, მრავალრიცხოვანი განშტოება და საბურღი მოედნები.



ძალიან კარგია!

უცხო ენების სწავლების ახალი მეთოდი

შეგხვედრიათ უცხოელთან გამოლაპარაკება? უკეთ, არა გამოლაპარაკება, არამედ მთარგმნელისათვის უმწეოდ ცქერა, იმის მოლოდინში თუ როდის ამოშაქრავს იგი უცაბედი თარგმანით გაღარიბებულ ფრაზას, რომელიც თქვენი თანამოსაუბრის ნათქვამის მხოლოდ აზრს გადმოსცემს?

ასეთ ადამიანთაგან ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებსაც სასწავლებლებში ოთხზე და ხუთზეც კი უსწავლიათ უცხო ენა.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლება მრავალ წელიწადს არასრულყოფილი იყო. გრამატიკული წესების დაზეპირება, „აქედან" „აქამდე" გადათარგმნა და უძილო ღამეები მორიგი გამოცდების წინ — აი მთელი ამბავი, რასაც ემყარებოდა ფრანგულის, გერმანულის თუ ინგლისურის შეთვისება.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კავშირი უჩვეულოდ ფართო გახდა. ერთიმეორის რაც შეიძლება უკეთ გაცნობის მსურველი სიბეთა ადამიანებისა და უცხოელების შეხვედრათა ნიალვარი სულ უფრო დიდდება.

ვინ დაეხმარონ მათ? რა თქმა უნდა სკოლა. და უმაღლესი სასწავლებელი. ერთი წლის წინათ ჩვენმა მთავრობამ მკვეთრი და საფუძვლიანი სიტყვა თქვა ამის თაობაზე. ხორციელდება უცხო ენების სწავლების გარდაქმნა. იგი უკვე იძლევა ხილულ შედეგებს. ინიციატივიანი ადამიანები ტეხენ მოძველებულ მეთოდურ კანონებს.

— უნდა ვასწავლოთ ლაპარაკი! — განაცხადეს ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მასწავლებლებმა. უნდა შემოვიღოთ ექვსი სასწავლო საათი კვირაში პირველ სამ კურსზე და ყველა ეს ექვსი საათი უნდა იყოს ლაპარაკი ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად...

ოფიციალურად ამას ეწოდა აქტიურ-ზეპირი მეთოდი. მთავარია, ვასწავლოთ ლაპარაკი, ხოლო ამის საფუძველზე ადვილია დააუფლო კითხვას. მაგრამ უპირველეს ყოვლისა — ლაპარაკი! ლაპარაკი საყოფაცხოვრებო, ზოგადპოლიტიკურ და მეცნიერულ თემებზე. შეასრულებინო წაკითხვა და გაგება იმისა, რასაც თავიანთ სპეციალობაში შეხდებიან გაზეთებსა და წიგნებში.

ვორონეჟელებმა თავიანთ უნივერსიტეტში შექმნეს ზეპირი მეტყველების განვითარების კაბინეტები. მათთან არის ლაბორატორიები, რომელებითაც პირველად ერთდროულად 130 სტუდენტს შეეძლო სარგებლობა, ხოლო დღეში 1.500-ს.

ეს იყო იანვარში. ახლაკი ლაბორატორიები მეტია, და მეტია მათში მომეცადინეთა რიცხვიც. ლაბორატორიებში არის სურათები, პლაკატები, გრამატიკული ტაბულები. აქვთ საკუთარი სტუდია, რომელიც დიაფილმს უშვებს.

მე თვალს გადავავლებ ვორონეჟელთა გამოცდილებას, მაგრამ თავისთავად ცხადია, ამ ქალაქის უნივერსიტეტში უცხო ენების სწავლება მკაცრი მეცნიერული ეფექტურობის საფუძველზე ხორციელდება. შედეგები საუცხოოა. უკვე მესამე კურსზე სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ მთელ დღეს ილაპარაკონ შესწავლილ ენაზე.

და როგორც ეს ენთუზიაზისტებს შეჰფერით, უნივერსიტეტის პედაგოგები არ ჩაკეტილან თავიანთი სასწავლებლის კედლებში. ინგლისური ენის კათედრის შტატის მასწავლებლები წავიდნენ ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში, მათს ჩვეულებრივ მეხუთე კლასში, სადაც 44 გოგონა და ბიჭუნა სწავლობს. აქ ახალი მეთოდით ენის სწავლების ერთი წლის შემდეგ ყველა ეს გოგონა და ბიჭუნა ალაპარაკდა ინგლისურად...

ძალიან კარგია ის, რაც კეთდება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს — ვორონეჟის უნივერსიტეტში. და როდესაც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე ვორონეჟელთა გამოცდილებას განიხილავდნენ, კოლეგიის წევრებმაც თქვეს:

— ძალიან კარგია!

მ. ამეტისოვი,

სააგენტო „ახალი ამბების" კორესპონდენტი.



ზოოპარკის ახალი ბინადრები

თბილისის ზოოპარკში ყოველთვის ბევრი მნახველია, ყველაზე მეტი კი მაინც ბავშვები. განსაკუთრებით ახლა ზაფხულში. მათ მაგრად ჩაუვლიათ ხელი მშობლებისათვის და დიდრონი გაკვირვებული თვალებით ათვალიერებენ ფრინველებს, მხეცებს.

სულ რაღაც ორიოდე თვის წინათ თბილისის ზოოპარკში პირველად ჩამოიყვანეს ჟირაფები ძუ „ნელი" და ხვადი „ბობი". აფრიკის ეს მშვენიერი ცხოველები წლინახევრისა არიან, სიმაღლე კი ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი მეტრი აქვთ, როდესაც გაიზრდებიან, მათი სიმაღლე ექვს მეტრს მიაღწევს. მშვენიერი სანახავები არიან ჟირაფები, მათ მაღალი მკვრივი და ჩამოსხმული ფეხები აქვთ, ძალზე წაგრძელებული კისერი და ფერთა უცნაური შეხამების კუბოკრული ნახატები ტანზე.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლეა ზოოპარკში. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელმა ჯავლიანმ თბილისის ზოოპარკს საჩუქრად გადასცა ერთი თვის პაწაწინა ფოცხვერი, იგი გალიაში ძაღლის ლეკვთან ერთად დააშწყვდიეს. ძაღლის ლეკვი უფრო მოზრდილია და ჩაგრავს ფოცხვერს. შიშისაგან იგი სულ გალიის ჯაჭვებზეა ჩამოკიდებული. მაგრამ ალბათ დროებით, მასში სულ მალე გაღვიძებს მხეცის ინსტინქტი და მაშინ მათი როლები შეიცვლება.

ამას წინათ ზოოპარკმა მიიღო პოლარული თეთრი დათვის ბელი, აფრიკის აფთარი, უახლოეს დროში ელოდებიან ზღვის ლომს, ჯიქს, მგლებს. თბილისის ზოოპარკში 150 სახეობის ორი ათასზე მეტი ეგზემპლარია. წელს ნამატიც დიდი იყო.

უცნაური მოთხოვნილებები აქვთ ცხოველებს. მაგალითად, ნიანგი მხოლოდ ხორცს და ხანდახან თევზს ჭამს, ზამთარში კი სულ სძინავს. მახრჩობელა გველი მხოლოდ ცოცხალ კურდღლებს მიირთმევს, ზამთარში კი მასაც ეკარგება მადა. ლომი და ვეფხვი მხოლოდ ხორცს ჭამენ. ბეჭემოტის მენიუ დღეში 100 კილოგრამს იწონის. სპილოს დღეში 200 კილოგრამი საკვები ეძლევა. ინდოეთის სპილო „მალკა" 1934 წელს არის დაბადებული, ხოლო 1938 წლიდან თბილისის ზოოპარკშია. იგი ყველაზე დინჯ და დამჯერე ცხოველად ითვლება. მაგრამ სამი წლის წინათ ვიღაცას ძაღზე გაუჯავრებია იგი, გამძვინვარებულს ჯებირი გაურღვევია. მივარდნია ელექტრობის ბოძებს და ხორთუმით მათი მოთხრა დაუწყია, თურმე ვერაფრით ვერ დააშოშმინეს. მისი მომვლელი ქალი იმ დროს იქ არ ყოფილა. საჩქაროდ გამოუძახნიათ და მისი ერთი შეყვირება, მალკა, რას სჩადი, როგორ არა გრცხვენიაო, საკმარისი აღმოჩნდა თურმე, რომ ეს ვეება ცხოველი დამორჩილებულიყო და თითქოს არაფერი მომხდარაო დინჯად შესულიყო თავის სადგომში.

• • •

სურათზე: ჟირაფები, „ბობი" და „ნელი" თბილისის ზოოპარკში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კომუნისტი

ბიბლიოგრაფია

კვლავ ფრე

გუშინ მატჩის შემდეგ გვიან ღამით „კომუნისტის" რედაქცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ჰანოვერის „ინტერ რადერის" სტადიონზე ტელეფონით დაუკავშირდა თბილისის დინამოელებს.

ყურმილს იღებს გუნდის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე. ვთხოვეთ მას ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის მოეთხრო „ჰანოვერ-96" საკლუბო გუნდთან მატჩის მსვლელობაზე.

აი რა გვაცნობა მან:

ნოენკირჰენის „ბორუსიასთან" ასპარეზობის ფრედ დამთავრების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ჰანოვერში ჩვენი გამოსვლისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ თბილისელებმა ნოენკირჰენში კარგი თამაში აჩვენეს.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, რას წარმოადგენს ჰანოვერის გუნდი „ჰანოვერ-96". მას ამ ქვეყნის ჩემპიონატებში ბრძოლის დიდი გამოცდილება და კარგი ტრადიცია აქვს. „ჰანოვერ-96" გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1958 წლის ჩემპიონია, ხოლო მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში მეხუთე ადგილი უჭირავს. ამ კლუბს 66 წლის ისტორია აქვს, იგი ჩამოყალიბდა 1896 წელს და ამიტომ ეწოდება მას „ჰანოვერ-96".

ჰანოვერთან მატჩს მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე ნოენკირჰენისას. შეჯიბრებას წინ უძღოდა ტრადიციული საზეიმო ცერემონიალი. ჰანოვერელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის შულენბერგის სასტვენის ხმაზე მეტოქეები ბრძოლაში ჩაებნენ.

მასპინძლები თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით თამაშობდნენ; დინამოელთა რიგებში იყვნენ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, გ. სიჭინავა, ზეინკლოშვილი, დათუნაშვილი, იამანიძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

თამაში დინამოელთა იერიშებით დაიწყო, მე-5 წუთისათვის ანგარიში უნდა ყოფილიყო 2:0 ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ მესხის ორი შესანიშნავი ჩაწოდება ვერ გამოიყენეს ფორვარდმა, პირველ რიგში კალოევმა. ამის შემდეგ გერმანელთა მეკარემ რამდენჯერმე მოიგერია მკვდარი ბურთი, ხოლო ერთხელ კალოევის მიერ თავური დარტყმით ბურთი ძელს მოხვდა.

მასპინძლები მეტწილად დაცვაზე ფიქრობდნენ, თუმცა ამასთანავე ახერხებდნენ კონტრთამაშს, მაგრამ ვერც მათ გამოიყენეს შესაძლებლობები. ამრიგად, პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 0:0.

მეორე ნახევარი კვლავ ჩვენ იერიშებით დაიწყო. მე-3 წუთზე მესხმა გვერდი აუარა ორ მეტოქეს, ჩვეული ოსტატობით ჩააწოდა კარის წინ და კალოევმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

პირველ მარცხს გერმანელებმა კონტრთამაშით უპასუხეს. მე-17 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მოიგერია კოტრიკაძემ, მაგრამ მას მიუსწრო „ჰანოვერ-96" ცენტრფორვარდმა ჰაიზერმა და გაათანაბრა ანგარიში. სამი წუთის შემდეგ მანვე გაიტანა მეორე გოლი.

ამას დინამოელებმა ძლიერი შეტევით უპასუხეს. და აი 24-ე წუთზე იამანიძის ღრმა რიდიდ დამთავრდა კარგი მიწოდებით. კვლავ კალოევის მეორე ბურთმა შეარხია მასპინძელთა ბადე.

დაბალი მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

ღამით მასპინძლებმა მოგვიწყეს ბანკეტი, რომელიც ჩატარდა მეგობრულ ვითარებაში.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

... ბ ... ბ ... ბ